საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 03/1477-17 "15" 05 2017 წ.

შპს „ნისას"

შეტყობინება

გატყობინებთ, რომ 2017 წლის 11 მაისს დანიშნული სხდომა გადაიდო და გაიმართება 2017 წლის 18 მაისს, 15 საათზე, მისამართზე: 0144 ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. №50/18. გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში. ამასთან გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში თუ კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენელი არ გამოცხადდება კომისიის სხდომაზე, კომისია საკითხს განიხილავს და მიიღებს გადაწყვეტილებას მისი დასწრების გარეშე.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") სხდომაზე განიხილება შპს „ნისასთვის" ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი, მის მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტისა და სამაუწყებლო არხების საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გადაცემის გამო (საფუძველი: კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის 2017 წლის 30 მარტის №შ-10/2794-17 სამსახურებრივი ბარათი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღია 2017 წლის 19 აპრილი. გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

კომისიის თავმჯდომარე **ვახტანგ აბაშიძე**

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: **post@gncc.ge; www.gncc.ge**